საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9086/01
26/08/2021

9086-01-2-202108260943

შპს „მრეწველობა 2020“-ის დირექტორს
ბატონ არჩილ გოგინაშვილს
მის: გურჯაანის მუნიციპალიტეტი,
სოფ. ველისციხე, 42–ე ქ., N 2
ელ. ფოსტა: u.kachlishvili@gmail.com;
makich62@mail.ru

ბატონო არჩილ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 აგვისტოს N14580 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხეში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია ერთმანეთის მიმდებარედ სამ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.08.57.129; 51.08.57.132; 51.08.57.150), საიდანაც ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა (ს/კ 51.08.57.150). პროექტის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ძირითადად განხორციელდება სწორედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.08.57.150). გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები (ცხრილი 1.2. გვ. 4) არ არის სწორად წარმოდგენილი და ვერ ხერხდება წერტილების იდენტიფიცირება. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები საჭიროებს კორექტირებას;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. ჭერმისხევის დამცავ გაბიონამდე მანძილი 5 მეტრს, ხოლო მდინარიდან უახლოეს ტექნოლოგიურ დანადგარამდე (სამსხვრევი დანადგარის მკვებავი ბუნკერი) - 26 მეტრს შეადგენს, რაც უზრუნველყოფს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იყოს დოკუმენტში. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დანადგარების განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ჭერმისხევიდან ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომელიც წარდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტში (გვ. 6). გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამის კორექტირებას.
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით სკრინინგის განცხადების 2.2.1 თავში (წყლის გამოყენება საწარმოო მიზნით, გვ. 7) და გენგეგმაზე (დანართი 1.1.; გვ. 5) მითითებული მდ. ჭერმისხევიდან წყალაღების წერტილების GPS კოორდინატები (X=463323.4; Y= 4627750.76 და X=563323.4; Y= 4627750.76) ერთმანეთს არ შეესაბამება. ამასთან 2.2.1 თავში წარმოდგენილი წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი არ ემთხვევა ზედაპირული წყლის ობიექტს და მნიშვნელოვნად არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან. შესაბამისად წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, თავდაპირველად მოპოვებული წყლის რაოდენობა შეადგენს 300 კუბ.მ.-ს, რომელიც დაგროვდება რეზერვუარებში და შემდგომ ადგილი ექნება წყლის ცირკულაციას. ხოლო წყლის დანაკარგის (აორთქლება, სველი ნალექის ამოღება) შევსება მოხდება მდინარიდან/ჭაბურღილიდან (გვ. 7). სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას რა რაოდენობის წყალაღება მოხდება მდინარიდან და ჭაბურღილიდან ცალ-ცალკე როგორც თავდაპირველი წყალაღების, ასევე დანაკარგის შევსების შემთხვევაში. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წყალაღების ჯერადობის შესახებ (დღეში/კვირაში), წყალაღებისთვის გამოყენებული საშუალებები (ტუმბო ან სხვა) და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სხვა წყალმომხმარებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს დადგენილ ზდკ-ს, რასაც ადასტურებს ამ მიმართულებით ჩატარებული წინასწარი გათვლები. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ზემოაღნიშნული გათვლების მონაცემები (ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიის იმ ფართობებზე, რომლებზეც განხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა, მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა,

მოცულობით 80-85 კუბ.მ და დასაწყობდება ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის დასაწყობების პირობების შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე